ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N77
(მომსახურების შესყიდვა)

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. **ერთის მხრივ სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი მისი დირექტორი ირაკლი ათუნაშვილის სახით** (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს ი/მ ლარისა ოქრომელიძე პ/ნ 47001006550, ქ. ახალციხე, ფარნავაზ მეფის ქ.N 16 (შემდგომში „შემსრულებელი“) სახით, შემდეგში „მიმწოდებელი“ - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის ვ პუნქტის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 33-ე პუნქტის საფუძველზე (წარმომადგენლობითი ხარჯი) მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება - ეროვნული დრამატურგიის VII საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალისში მონაწილე თეატრებს - 21 მაისს (თბილისის .ადამიანის სახელმწიფო თეატრს - 16 მონაწილე), 22 მაისს (ამბროლაურის მუნიციპალური თეატრს - 23 მონაწილე), 23 მაისს (ფოთის ვ. გუნიას სახელმწოფო თეატრს - 13 მონაწილე) 27 მაისს (თელავის ვ.შაველას სახელმწიფო თეატრს - 22 მონაწილე,) - სასტუმრო STAR-ში დაბინავება (სულ 74 მონაწილე) - საუზმის გათვალისწინებით.

2.2 დაფინანსების წყარო **- თეატრის საკუთარი შემოსავლები**

2.3 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.

2.4შესყიდვის კატეგორია, (CPV) კოდი – 55110000, სასტუმროში დაბინავების მომსახურება, რომელიც განხორციელდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება ჯამში შეადგენს 4440-**00** ლარს . (ერთი სტუმრის მომსახურების ღირებულება - 60 ლარი) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია „შემსრულებელი“ .

3.2 სახელშეკრულებო ღირებულება შესაძლებელია დაკორექტირდეს მხარეთა შეთანხმებით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება 2023 წლის 21 მაისიდან 28 მაისის ჩათვლით.

4.2 შესრულებული სამუშაოს განხორცილების შემდგომ, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი.).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, მ/წლის 21 მაისიდან 15 ივლისის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მხარეები მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით ადასტურებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება (მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე) მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა) შემსრულებლის ანგარიშის ნომერზე.

7.4 ანზღაურება მოხდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად ან/და ნაწლობრივ შესრულების შემდგომ მიღება-ჩაბარების წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი

ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს, რომელთა ვინაობა დადგინდება ცალკე ბრძანებით, მომსახურების მახასიათებლის გათვალისწინებით
10.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქციაა შესასრულებელი ან/და შესრულებული სამუშაოს, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
10.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

11.. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4.. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02% ოდენობით.
11..2. იმ შემთხვევაშუ თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2(ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
11.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 7.4. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსლია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02% ოდენობით.
11.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. სხვა პირობები

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და მხარეების მიერ ხელმოწერილია ელექტრონულად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
12.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
12.3 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

Larisa Okromelidze 47001006550
Digitally signed by Larisa Okromelidze
Date: 2023.05.19 11:13:24

შემსყიდველი ორგანიზაცია:	**მიმწოდებელი:**
ს.ს.ი.პ მესხეთის (ახალციხის)	
პროფესიული სახელმწიფო	**ი/მ ლარისა ოქრომელიძე**
დრამატული თეატრი	
ქ. ახალციხე თამარ მეფის ქ. №6	ქ. ახალციხე ,
სახელმწიფო ხაზინა	საქართველოს ბანკი
სახაზინო კოდი №TRESGE22	ბანკის კოდი **BAGAGE22**
ს/კ 224072928	პ/ნ **47001006550**
a/n 708277015	ანგარიში № **GE33BG0000000607508500**
დირექტორი: ი. ათუნაშვილი	**ლ. ოქრომელიძე**

LEPL Meskheti (akhaltsikhe) professional state drama theatre
Digitally signed by LEPL Meskheti (akhaltsikhe) professional state drama theatre
Date: 2023.05.19 10:54:00 +04'00'